

ტექნიკური დავალება

პროექტის დასახელება:

საქართველოს ბანკის ობიექტი #2-ს ენერგეტიკული მომარაგებისთვის, მონიტორინგის სისტემის მოწყობა.

პროექტის აღწერა:

საქართველოს ბანკის ობიექტის ენერგეტიკული მომარაგებისთვის მოსაწყობია მონიტორინგის სისტემა.

აღნიშნული ელ. მომარაგება მოიცავს: $6kV$ ის დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობას მართვის და დაცვის აპარატურით (*ABB UniSec* ერთი უჯრედი და *REF – 615F* დაცვის რელე); ერთ ცალ $6/0.4 – 630 kVa$ ძალოვან ტრანსფორმატორს; სამ ცალ გენერატორს (ორი *SDMO* ერთი *AXA*) $300 kVa$; $330 kVa$ და $375 kVa$ – სიმძლავრეებით; $0,4kV$ ის ორ ცალ ATS-ს (*Lovato*); UPS-ს $200 kVA$ -ს.

ძირითადი მოთხოვნები:

- ადგილზე ვიზიტი და მოწყობილობების შესწავლა შემოთავაზების წარდგენამდე.
- კარადა რომელშიც დამონტაჟებული იქნება მონიტორინგის, გადამცემი მოწყობილობები უნდა იყოს არანაკლებ IP 65 შესრულების;
- მონიტორინგის კარადის კომპლექტაცია, საჭირო სენსორები, სამონტაჟო მასალები და კომპონენტები სრულად უნდა შედგებოდეს სერთიფიცირებული მოწყობილობებისგან.
- კარადის კომპლექტაციაში უნდა იყოს დამოუკიდებელი უწყვეტი კვების წყარო.
- სამონტაჟო სენსორების კაბელები მოთავსებული უნდა ცეცხლმედეგ გარცმადში.
- მონიტორინგის სისტემა უნდა გადმოსცემდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
 - ქსელის პარამეტრებს:
 1. $6 kV$ -ის მხარეს (დენი, ძაბვა, სიმძლავრე, სიხშირე, $\cos\phi$)
 2. $0,4 kV$ -ის მხარეს (დენი, ძაბვა, სიმძლავრე, სიხშირე, $\cos\phi$) (ორ შემყვანზე).
 - ტემპერატურას:
 1. გარე ტემპერატურა;
 2. $6 kV$ გამანაწილებლის ტემპერატურა;
 3. $0,4 kV$ გამანაწილებლის ტემპერატურა;
 4. ძალოვანი ტრანსფორმატორის ტემპერატურა (ტრანსფორმატორის კორპუსი, სათავსო);
 5. გენერატორების ტემპერატურა (ზეთი, წყალი, საწვავი);
 - $0,4 kV$ ის ორი ცალი ATS-ის მდგომარეობა და ლოგები;
 - UPS-ის მდგომარეობა და ლოგები;
 - დიზელის მოცულობა გენერატორების ავზებში;
 - გენერატორების მდგომარეობა და ლოგები;
- სისტემა ინფორმაციას უნდა გადმოსცემდეს საქართველოს ბანკის მონაცემთა ბაზაში დამკვეთთან შეთანხმებული პროტოკოლით.
- სისტემა შეტყობინებებს უნდა აგზავნიდეს ავარიულ რეჟიმებსა და პარამეტრების დარღვევის შემთხვევაში (*Email ; SMS*).
- მონაცემების შენახვა შესაძლებელი უნდა იყოს ერთი თვის განმავლობაში.
- წრედის ყველა კაბელს და საკლემო მომჭერს უნდა გააჩნდეს სქემის შესაბამისი მარკირება. დენური წრედები უნდა შესრულდეს სპილენძის 2.5 მმ^2 კვეთის სადენით, ხოლო დანარჩენი წრედები უნდა შესრულდეს სპილენძის 1.5 მმ^2 კვეთის სადენით.

- შემსრულებელმა დამკვეთთან წინასწარ უნდა შეათანხმოს წრეების შეერთების სქემები, გამოყენებული აპარატურა და ინფორმაციის გადმოცემის ინტერვალი.

სამონტაჟო სამუშაოები:

- შემსრულებელმა ყველა სამუშაო უნდა ჩაატაროს საქართველოში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.
- შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს დამონტაჟებული მოწყობილობების ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია (ტექნიკური პასპორტი, ექსპლუატაციის სახელმძღვანელო და ა.შ.).

საგარანტიო ვადები:

- გამოყენებულ მოწყობილობებზე-ქარხანა/დამამზადებლის მიერ მინიჭებული ვადა.
- შესრულებულ სამუშაოებზე - არა ნაკლებ 2 წელი.